პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 130 (26471) — სამშაბათი, 6 ივნისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დადგენილება კავშირის საბჭოს მუდმივი კომისიებისა [illegible]

კავშირის საბჭო ადგენს:

შეიქმნას კავშირის საბჭოში შემდეგი მუდმივი კომისიები:

საგეგმო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისია;

მრეწველობის, ენერგეტიკის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის [illegible] საკითხთა კომისია;

ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ინფორმატიკის საკითხთა კომისია;

შრომის, ფასებისა და სოციალური პოლიტიკის საკითხთა კომისია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დადგენილება კავშირის საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

კავშირის საბჭო ადგენს:

კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს ევგენი მაქსიმეს ძე **პრიმაკოვი** — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან.

ᲨᲔᲡᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ

5 ივნისს დილას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები შეიკრიბნენ მოსკოვის კრემლის ყრილობათა სასახლეში მორიგ სხდომაზე.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **მ. ს. გორბაჩოვი.**

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ბაშკირეთის ასსრ რესპუბლიკის ტერიტორიაზე 3 ივნისს ღამით მომხდარ კატასტროფაში დაღუპულთა ხსოვნას.

მ. ს. გორბაჩოვმა ყრილობას დაწვრილებით აცნობა კატასტროფის ადგილას ჩასვლისა და იმ საგანგებო ღონისძიებების ამბავი, რომლებიც მიღებულია და ხორციელდება დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად, ილაპარაკა მთავრობის კომისიისა და ორგანოების მუშაობაზე, რომლებიც ტრაგედიის მიზეზებს იძიებენ.

შეიტანეს წინადადება გლოვის დღეს, — 5 ივნისს, გაეკეთებინათ შესვენება ყრილობის მუშაობაში.

წინადადებას დაეთანხმნენ. დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება თავიანთი დღიური ხელფასი გადარიცხონ კატასტროფაში დაღუპულთა და მათი ოჯახების სასარგებლოდ.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა ყრილობაზე ილაპარაკა იმის თაობაზე, თუ რა სიტუაცია შეიქმნა ფერღანის ოლქსა და მთიან ყარაბაღში. მან წაიკითხა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ჯგუფის წერილი, რომელშიც ამ რეგიონების მოსახლეობას მოუწოდებენ წამოჭრილი პრობლემები გადაწყვიტონ მშვიდობიანი გზით, კანონიერ საფუძველზე. დეპუტატთა ჯგუფის წინადადებით ეს წერილი მიიღეს ყრილობის მიმართვად ეროვნებათშორის საფუძველზე შეტაკებათა მონაწილეებისადმი. იგი გამოქვეყნდება.

5 ივნისს დილის 10 საათზე სსრ კავშირს სახალხო დეპუტატთა ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲭᲐᲛᲘ

ᲨᲔᲛᲐᲣᲬᲝᲗᲔᲑᲔᲚᲛᲐ ცნობამ ბაშკირეთში მომხდარი ავარიის შესახებ ახალი ტკივილი განაცდევინა საბჭოთა ადამიანებს. ჯერაც არ მოშუშებულა არცთუ დიდი ხნის წინანდელი ტრაგიკული მოვლენებით გამოწვეული ჭრილობები და, აი, კვლავ ახალი უბედურება დაგვატყდა თავს. ყოველ ღონეს ხმარობს ქვეყანა, რათა შეუმსუბუქოს ხვედრი გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანებს.

4 ივნისს მთელი დღე გაატარეს ბაშკირეთის ასს რესპუბლიკასა და ჩელიაბინსკის ოლქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მ. ს. გორბაჩოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა. ისინი ვერტფრენავით ჩავიდნენ ადგილზე, სადაც დატრიალდა ტრაგედია, რომელმაც ასობით ადამიანი იმსხვერპლა. მოისმინეს ჯერ კიდევ ღამით შექმნილი მთავრობის კომისიის თავმჯდომარისა და წევრების, სპეციალისტების, აგრეთვე იმ ადგილობრივი მცხოვრებლების ცნობები, რომლებიც შეესწრნენ ხაზის ღრუბლის აფეთქებასა და ამის შედეგად გაჩეხილ ხანძარს. სურათი მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს.

ადგილობრივი მცხოვრებნი, უფის, მოსკოვის, ჩელიაბინსკისა და სხვა ქალაქების მედიკოსები, სამხედრო ვერტმფრინავები, საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების ჯარისკაცები და ოფიცრები ავარიის შემდეგ პირველ საათებშივე ჩავბნენ მაშველ სამუშაოებში და ჯერ კიდევ გათენებამდე ბოლო დაზარალებულნი გადაიყვანეს საავადმყოფოებში.

მთავრობის კომისიასთან შეხვედრაზე მ. ს. გორბაჩოვმა განსაზღვრა მისი ორი მთავარი ამოცანა: ეფექტიანი დახმარება იმათთვის, ვინც ცოცხალი გადარჩა, აგრეთვე დაღუპულთა და დაშავებულთა ჩამოსული ნათესავებისა და ახლობლების მიღება, დაბინავება, საჭირო ინფორმაციით მათი უზრუნველყოფა.

საბჭოთა ხელმძღვანელები მიეიდნენ ჩელიაბინსკის ოლქის ქალაქ აშის საავადმყოფოში და უფის სიდამწვარის ცენტრში, სადაც ესაუბრნენ დაზარალებულთ, გაეცნენ მათი მკურნალობის ორგანიზაციას, მადლობა გადაუხადეს ექიმებსა და მთელ სამედიცინო პერსონალს ავადმყოფების უყურადღებიანი მოვლისათვის.

უფასა და აშაში გაიმართა საუბარი ადგილობრივ მცხოვრებლებთან. რა თქმა უნდა, მხოლოდ მომხდარ უბედურებაზე რიდი ილაპარაკეს. ხალხი სტუმრებს უზიარებდა ფიქრებს და იმედებს, რომლებსაც ისინი უკავშირებდნენ გარდაქმნას, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მუშაობას.

ყველაზე ხშირად გაისმოდა კითხვა — მეტად ძვირად ხომ არ უჯდება ხალხს, ქვეყანას სუსტი დისციპლინა და დაუდევრობა წარმოებაში, ტრანსპორტზე, ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა, მომთხოვნელობის შესუსტება შრომითს კოლექტივებში, რასაც მძიმე შედეგები და მსხვერპლიც კი მოსდევს.

მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უპასუხისმგებლობას და უზრუნველობას ყველა ერთად უნდა ებრძოლოს, და არა მარტო ცენტრიდან, რადგან თითოეულს კონტროლიორს ვერ დაუყენებ. ფოს ვერ გავალთ, თუ მტკიცე ღონისძიებები არ განხორციელეს შრომითმა კოლექტივებმა, პარტულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის ძალას შეუძლია ჩვენი ამ მძიმე და შეუწყნარებელი სენის დაძლევა. ამ საკითხის გამო მ. ს. გორბაჩოვის გამონათქვამებს მხურვალედ დაუჭირეს მხარი უფელებმა.

ბაშკირეთის ავარიამ კვლავ შეგვახსენა ყველას ჩვენი, ალბათ, ყველაზე დიდი პრობლემა — ქვეყნის ეკოლოგიური ვითარება. სახელმწიფო სულ უფრო უბრუნდება ამ პრობლემას, თქვა მიხეილ სერგის ძემ, იგი ყოველ წელს სულ უფრო მეტს გაიკეთებს ადამიანის ბინადრობის გარემოს შენარჩუნების, იმ არასასიკეთო შედეგების დაძლევისათვის, რომლებიც ხელს გვიშლიან ცხოვრებაში.

ბაშკირეთის ასს რესპუბლიკასა და ჩელიაბინსკის ოლქში მოგზაურობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ვ. ვლასოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. ტ. იაზოვი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ე. ი. ჩაზოვი. საბჭოთა ხელმძღვანელებს ახლდნენ სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. ხ. ხაბიბულინი, ბაშკირეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ბ. ბირგაზიამოვი, სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. დ. შვირევი და ჩელიაბინსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე მ. ბ. ისაევი.

(ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲢᲐᲡ ᲑᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲖᲣᲨᲐᲕᲘ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲙᲘᲚᲔᲑᲝ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲘᲝᲤᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

ᲐᲓᲘᲚᲝᲕᲘ ვლადიმერ ტუიჩის ძე — ტაშკენტის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ბრიგადირი.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲜᲘ ვალერი გრიგოლის ძე — იოშკარ-ოლის საქალაქო სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე, მარეთის ასსრ.

ᲑᲐᲠᲐᲜᲝᲕᲘ ალექსანდრე ივანეს ძე — ხაფარმოო გაერთიანება „იეორის ქარხნის“ პროფკომის თავმჯდომარე, ქ. ლენინგრადი, ქ. კოლპინო.

ᲑᲘᲩᲐᲙᲐᲣᲡᲙᲐᲡᲘ ეგიდიუს ვიტაუტას ძე — ლიტვის სსრ პროკურორის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, ქ. ვილნიუსი.

ᲑᲘᲨᲝᲕᲘ ილმარ ოლგერტის ძე — ლატვიის პ. სტუჩკას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. რიგა.

ᲒᲝᲚᲘᲪᲘ იური ვლადიმერის ძე — კემეროვოს სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

ᲘᲐᲠᲘᲜᲘ ბენიამინ ალექსანდრეს ძე — ნიჟნი-ტაგილის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის ოპერატორი, ქ. ნიჟნი-ტაგილი.

ᲘᲒᲜᲐᲢᲝᲕᲘᲩᲘ ნიკოლოზ ივანეს ძე — ბელორუსიის სსრ პროკურორის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, ქ. მინსკი.

ᲚᲣᲒᲐᲜᲘᲩᲘᲜᲙᲝ კონსტანტინე დიმიტრის ძე — მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი.

ᲛᲘᲮᲔᲔᲕᲘᲩᲘ რიო ალექსანდრეს ძე — მწერალი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ქ. მოსკოვი.

ᲠᲘᲜᲚᲐ ველო პაულის ძე — ესტონეთის სსრ სახტელევიზიოს „ესტონეთის ტელეფილმის“ მთავარი რედაქციის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ᲡᲔᲛᲘᲝᲜᲝᲕᲘ ვიტალი ალექსანდრეს ძე — უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკური მექანიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ქ. დნეპროპეტროვსკი.

ᲡᲝᲠᲝᲙᲘᲜᲘ იგორ ვიქტორის ძე — კუიბიშევის სადგურის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების სისხლის სამართლის სამმებაროს უფროსი ოპერუფლებული, ქ. კუიბიშევი.

ᲡᲢᲠᲣᲩᲙᲝᲕᲘ ნიკოლოზ ალექსის ძე — კურსკის ოლქის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი, ქ. კურსკი.

ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲔᲜᲝᲕᲘ ოლოკაკ ომარის ძე — მწერალი, აზიბეიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, ქ. ალმა-ათა.

ᲤᲘᲝᲓᲝᲠᲝᲕᲘ სვიატოსლავ ნიკოლოზის ძე — დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის „თვალის მიკროქირურგიის“ გენერალური დირექტორი, საბჭოთა კავშირის ჯულმოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის თავმჯდომარე, ქ. მოსკოვი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ 1939 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲣᲡᲮᲛᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

ᲘᲐᲙᲝᲕᲚᲔᲕᲘ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ

ᲐᲘᲗᲛᲐᲗᲝᲕᲘ ჩინგიზ — მწერალი, ყირგიზეთის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურის“ მთავარი რედაქტორი, ქ. ფრუნზე.

ᲐᲠᲑᲐᲒᲝᲕᲘ გიორგი არკადის ძე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის დირექტორი, ქ. მოსკოვი.

ᲐᲠᲣᲗᲘᲜᲘᲐᲜᲘ ლუდმილა აკოფის ასული — ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ქ. ერევანი.

ᲐᲤᲐᲜᲐᲡᲘᲔᲕᲘ იური ნიკოლოზის ძე — მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო-საარქივო ინსტიტუტის რექტორი, ქ. მოსკოვი.

ᲑᲘᲙᲝᲕᲘ ვასილ ვლადიმერის ძე — მწერალი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ქ. მინსკი.

ᲒᲠᲘᲐᲜᲘᲜᲘ იგორ ნიკოლოზის ძე — ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის, სოციოლოგიისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ქ. ტარტუ.

ᲓᲐᲜᲪᲔᲕᲘ იონ პანტელეიმონის ძე — მწერალი, მოლდავეთის სსრ.

ᲔᲠᲔᲛᲘᲘ გრიგორ ისიდორეს ძე — მოლდავეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, ქ. კიშინიოვი.

ᲕᲣᲚᲤᲘᲡᲝᲜᲘ მავრიკ გერმანეს ძე — ლატვიის სამხატვრო აკადემიის უფროსი მასწავლებელი, ქ. რიგა.

ᲙᲐᲖᲐᲜᲘᲙᲘ ალექსი ივანეს ძე — ომსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის დოცენტი, ქ. ომსკი.

ᲙᲔᲖᲑᲔᲠᲘᲡ ივარ იანის ძე — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ქ. რიგა.

ᲙᲝᲠᲝᲢᲙᲘᲩᲘ ვიტალი ალექსის ძე — „ეურნალ „ოგონიო�sის“ მთავარი რედაქტორი, ქ. მოსკოვი.

ᲙᲐᲒᲐᲜᲝᲕᲘ ვლადიმერ ალექსის ძე — უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი, ქ. კიევი.

ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲘ სერგი ბორისის ძე — ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

ᲚᲐᲜᲓᲡᲑᲔᲠ�გᲘᲡᲘ ვიტაუტას ვიტაუტის ძე — ლიტვის სსრ სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, ქ. ვილნიუსი.

ᲚᲐᲣᲠᲘᲜᲘᲩᲘ მარიუ იოსიფეს ასული — ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

ᲚᲘᲒᲐᲩᲝᲕᲐ ენდელ თეოდორის ძე — ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიური და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, ქ. ტალინი.

ᲛᲐᲠᲪᲘᲜᲙᲘᲐᲕᲘᲩᲘᲣᲡᲘ იუსტინას მოტის ძე — მწერალი, ლიტვის სსრ, ქ. ვილნიუსი.

ᲛᲝᲢᲔᲪᲐ კაზიმირ ვლადისლავის ძე — ვილნიუსის პირველი იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი, ქ. ვილნიუსი.

ᲜᲔᲘᲚᲐᲜᲓᲘ ნიკოლოზ ვასილის ძე — ლატვიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ქ. რიგა.

ᲠᲘᲥᲐᲓᲖᲔᲠᲘ ალექსი მიხეილის ძე — ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტი ალექსი, ქ. ლენინგრადი.

ᲡᲐᲒᲘᲜᲘᲡᲐᲠᲘ ედგარ ელმარის ძე — ესტონეთის სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს „მაინორის“ დირექტორის მოადგილე.

ᲡᲐᲚᲘᲜᲘ ვალენტინ მიხეილის ძე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე, ქ. მოსკოვი.

ᲤᲐᲠᲐᲕᲐᲠᲨᲘᲜᲘ ვლადიმერ ილარიონის ძე — უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, ქ. კიევი.

ᲤᲚᲘᲠᲘᲩᲘᲢᲐ ზიტა ლეონის ასული — კლაიპედის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი, ქ. კლაიპედა.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲠᲗᲐ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული მშენებლობისა და საჯარო პოლიტიკის კომისიის მორიგი სხდომა.

კომისიამ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სკკპ რიგების შევსება და ხორციელდება გარდაქმნის ახლანდელ ეტაპზე კომუნისტებისადმი წაყენებული დიდი მოთხოვნების შესაბამისად მათი შემდგომი განმტკიცების ღონისძიებანი. სხდომის მონაწილეებმა გააანალიზეს საბოლოო მონაცემები 1988 წელს პარტიაში მიღების შესახებ და განაზოგადეს ძირითადი ტენდენციები, რომლებითაც ხასიათდება მის შემდგომ ნლობაში სკკპ XXVII ყრილობის, XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გამაახლებელი მითითებების ზემოქმედებით მიმდინარე ცვლილებები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგების შევსების პრაქტიკაში მიმდინარე ცვლილებები, აღინიშნა სხდომაზე, თავისი თვისებრივი მახასიათებლებით უახლოვდება გარდაქმნის პოლიტიკურ რეალობებს. სკკპ რიგებში შედიან ისეთი ადამიანები, რომლებიც როგორც წესი, ხელმძღვანელობენ იდეური მრწამსით. ქკაფიოდ აქვთ რა წარმოდგენილი არსებული სიძნელეები, ისინი ებმებიან ჩვენი ცხოვრების ყველა მხარის განახლებისათვის აქტიურ მუშაობაში. გაძლიერდა იმ პირებისაგან პარტიის თვითგაწმენდის პროცესი, რომლებიც სახელს უტეხენ კომუნისტის წოდებას. ამასთან, გარდაქმნის პროცესის სიძნელეებისა და წინააღმდეგობების გავლენით და იმასთან დაკავშირებით, რომ მთელი რიგი პარტორგანიზაციები ჩამორჩენიან საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო პოლიტიზაციას, ნელა წყვეტენ დაგროვილ მწვავე პრობლემებს, ხდება პარტიაში მიღების შემცირება. აღინიშნება სკკპ რიგებიდან გამოსვლის შემთხვევები.

პარტიის რიგების მატების შესახებ მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ ბოლო წლებში ძირითადად დაძლეულია სკკპ რიგებში მიღების დაჩქარების ტენდენცია. მაგრამ მთელ რიგ ადგილებში პარტიაში ახალი შევსების შერჩევის მკაცრ რეგლამენტაციაზე უარის თქმა, ამ მუშაობის დემოკრატიზაციის მოთხოვნა, აღიქმება როგორც თვითდინების ორიენტირი. ამის გამო სკკპ რიგებში მიღების პრაქტიკაში აქ უწინდებურად ჭარბობს ფორმალურ-სტატისტიკური მიდგომა, არსებითად არ არის გარდაქმნის მოთხოვნებით ნაკარნახევი პოლიტიკური მიზანსწრაფულობა.

კომისიის წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უნდა აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებანი, უფრო მტკიცედ და მიზანმიმართულად წარიმართოს პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა პარტიის რიგების განმტკიცების მიზნით. უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ ახლა უპირველესი მნიშვნელობა აქვს სკკპ რიგებში მისაღებთა არა რაოდენობას, არამედ ღირსებას, პარტიაში მიღება უნდა წარმოებდეს ძირითადად ისეთი ადამიანების მკაცრი ინდივიდუალური შერჩევის საფუძველზე, რომლებიც პოლიტიკურად აქტიურები და მორალურად უმწიკვლონი არიან, პოზიტიური წვლილი შეაქვთ სოციალისტური განახლების პოლიტიკის განხორციელებაში.

სხდომის დროს გამოითქვა სხვადასხვა წინადადება იმ კონკრეტულ ღონისძიებათა თაობაზე, რომლებიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს უახლოეს დროში, რათა დაჩქარდეს რეალური შემობრუნება ახალი პარტიული შევსების თვისებრივი გაუმჯობესებისათვის პარტორგანიზაციების მუშაობაში. კომისიის ყველა წევრი ხელმძღვანელობდა იმით, რომ დასახული ღონისძიებანი მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდნენ სკკპ რიგებში მიღების პროცესის დემოკრატიზაციისათვის XIX პარტკონფერენციის მითითებათა თანამიმდევრულ რეალიზაციას.

განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო ამასთან დაკავშირებით პარტიული რიგების ფორმირების ყველა საკითხის გადაწყვეტაში პირველადი პარტორგანიზაციების დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის ზრდას. მიზანშეწონლად იქნა მიჩნეული უფრო გამკაცრდეს მიღების საბოლოო სტადია — სკკპ წევრად გახდომა, გაიზარდოს პარტიული ორგანიზაციებისა და რეკომენდაციის მიმცემთა პასუხისმგებლობა ახალი წევრების შერჩევისათვის, აუცილებლად იქნეს გათვალისწინებული პარტიაში შემსვლელთა შესახებ შრომითი კოლექტივების აზრი.

სხდომის დროს აღინიშნა, რომ პარტიის შევსების პროცესების დემოკრატიზაციას თან უნდა სდევდეს კომუნისტების ორგანიზებულობისა და დისციპლინის, მათი პასუხისმგებლობის ზრდა განახლების იდეების განხორციელებისათვის, ეკონომიკური, სოციალური და სულიერი სფეროების კონკრეტულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის. სკკპ რიგებში მიღებისა და კომუნისტთა აღზრდის ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს პარტიის ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცების სიერთო კონტექსტით, იმის საფუძველზე, რომ პარტიული მასების კონსოლიდაცია და მათი შემოქმედებითი პოტენციალის ყველაზე სრული გამოვლენა გარდაქმნის წარმატების უმნიშვნელოვანესი წინამძღვარია.

კომისიის მუშაობის შედეგების მიხედვით შემუშავდა სკკპ რიგებში მიღების მიმდინარეობისა და პარტიული რიგების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ დოკუმენტის პროექტი, რომელიც შეტანილია განსახილველად სკკპ ცენტრალურ კომიტეტში. კომისიის წევრებმა აღიარეს, რომ უნდა გაგრძელდეს ცენტრალურ კომიტეტში, ადგილობრივ პარტიულ ორგანოებში შემოსულ წინადადებათა და შენიშვნათა შესწავლა, რათა პარტიის XXVIII ყრილობისათვის მზადების დროს შემუშავდეს კონსტრუქციული რეკომენდაციები პარტიული რიგების ფორმირებისა და განმტკიცების პრობლემების თაობაზე.

კომისიის სხდომა მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. პ. რაზუმოვსკის თავმჯდომარეობით.

(ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე განხილულ სახალხო-სამეურნეო და სოციალურ პრობლემათა სპექტრში შემდგომი განვითარება პოვა კომპლექსურმა მიდგომამ რესპუბლიკის მშენდუსტრიის საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკის გაჯანსაღების მწვავე საკითხების გადაწყვეტისადმი.

მწვავედ და პრინციპულად შეაფასეს საქართველოს სსრ სახმშენის რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქმშენმასალების“ არადამაკმაყოფილებელი ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობა 1988 წელს. როგორც აღინიშნა, ხელმძღვანელობას ეფექტიანი ზომებისთვის არ მიუმართავს საიმისოდ, რომ კარდინალურად გაეუმჯობესებინა დარგის ფინანსური მდგომარეობა, არ უზრუნველყო ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის მუშაობა, არ აღმოფხვრა ნაკლოვანებანი მშენიდუსტრიის საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო საქმიანობაში. მეურნეობრობის ახალ პირობებში ფინანსური დახმარებისა და საკუთარი საბრუნავი სახსრების არაეფექტიან და უუნარო გამოყენებას, მოგების გგგმების შეუსრულებლობასა და სხვა სერიოზულ ხარვეზებს ეკონომიკურ და საწარმოო საქმიანობაში ის მოჰყვა, რომ მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის ბანკისა და მიმწოდებლებისათვის გადაუხდელი თანხა გაერთიანების სისტემაში სამკერდ და შეტად გაიზარდა და 41,8 მილიონი მანეთი შეადგინა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიღებულ დადგენილებაში დასახა გაერთიანება „საქმშენმასალების“ სისტემაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსურ-სამეურნეო მუშაობისა და საწარმოო საქმიანობის გაჯანსაღების ღონისძიებათა მკაფიო პროგრამა.

დამტკიცდა ქალაქ გორის სახლთმაშენებელი კომბინატის გაფართოების ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებანი. რეკონსტრუქციის შემდეგ განახლებული საწარმოს საწარმოო სიმძლავრე გაიზრდება დაახლოებით 80 ათასი კვადრატული მეტრი საერთო საცხოვრებელი ფართობით წელიწადში, რაც არსებით გავლენას მოახდენს ქალაქისა და ახლომდებარე რაიონების მწვავე საბინაო პრობლემების წარმატებულ გადაჭრაზე.

განიხილეს 1986-1988 წლების კომპლექსური პროგრამის „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90“-ის დავალებათა შესრულების მიმდინარეობა. მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ ხუთწლედის განვლილი სამი წლის მანძილზე საერთოდ რესპუბლიკის ეკონომიკაში გარკვეული ძვრები დაისახა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმტკიცებაში, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, მიუხედავად ამისა, მან მთელი ყურადღება მიაპყრო ნაკლოვანებებსა და ჩამორჩენას დასახული პროგრამის რეალიზაციაში. სამინისტროებისა და უწყების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისა და საწარმოს წინაშე დასახულია საკვანძო ამოცანა: განაახორციელონ კარდინალური ღონისძიებანი და მთლიანად უზრუნველყონ მეთორმეტე ხუთწლედისთვის დასახული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მთელი პროგრამის შესრულება და ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ახალ მიჯნაზე გასვლა.

მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ინფრასტრუქტურის, ისტორიის, კულტურის განვითარების, სოციალური პრობლემების გადაჭრის საკითხებიც.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ�გᲐᲜ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲗᲐᲕᲘᲡ

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 23 საათსა და 14 წუთზე მოსკოვის დროით გათხელებული გაზის პროდუქტსადენზე ჩელიაბინსკ-უფის რკინიგზის მონაკვეთის უშუალო სიახლოვეს ავარიის შედეგად მოხდა გაზის ძლიერი გადინება. ორი შემხვედრი სამგზავრო მატარებლის — ნოვოსიბირსკ-აღლერისა და აღლერ-ნოვოსიბირსკის გავლისას მოხდა დიდი ძალის აფეთქება და გაჩნდა ცეცხლი. არის დიდძალი მსხვერპლი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შექმნეს მთავრობის კომისია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გ. გ. ვედერნიკოვის მეთაურობით, რომელიც და

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს პედაგოგთა საექსპერიმენტო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის

დეპუტატ შ. ა. ამონაშვილის გამოსვლა,

ქალაქი თბილისი (სსრ კავშირის პროფესიული კავშირებისაგან)

პატივცემულო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეო! პატივცემულო დეპუტატებო! გუშინ საქართველოს დეპუტატები შეხვდნენ მიხეილ სერგეის ძე გორბაჩოვს. ეს იყო უაღრესად გულახდილი შეხვედრა, პირდაპირი საუბარი, სადაც შევძელით გამოგვეთქვა ჩვენი აზრები, ჩვენი გრძნობები, აგვეხსნა ზოგიერთი მოვლენა. თავის მხრივ მიხეილ სერგეის ძემაც ბევრი რამ აგვიხსნა. დარწმუნებული ვარ, რომ კომისია, რომელიც შექმენით თქვენ, ყრილობამ, დეტალურად გაერკვევა ყველაფერში და გამოიტანს საჭიროს, სამართლიან, ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას. და ეს სამართლე ითქმება. სიმართლე სჭირდება ყველას — თქვენც გჭირდებათ, ჩვენც გვჭირდება, რადგან ქვეყანაში, რომელიც შენდება ახალი პრინციპების — ჰუმანიზაციის, საზოგადოების დემოკრატიზაციის, საჯაროობის პრინციპების საფუძველზე — ეს სიმართლე ჩვენ ხელში იქნება იარაღი საიმისოდ, რომ ვიბრძოლოთ ადამიანთა სულის ხსნისათვის.

ჩვენ ახლა ძალზე გვეჭირს. არ დავიწყებ ახლა ჩვენთან მომხდარი ამბების დრამატიზებას. იქნებ, უკვე არც ღირდეს ლაპარაკი ყველა მოვლენაზე, მაგრამ მინდა მთ მომავალი თაობის აღზრდის თვალსაზრისით შეეხებოდეო.

წინასწარ მინდა მოგახსენოთ, რომ დეპუშები, რომლებიც აქ წაიკითხეს, ჩვენთვის უცნობი იყო. რაც მთავარია, ბინდა დაგარწმუნოთ თქვენ, ძვირფასო დეპუტატებო, რომ სიმართლეს არ შეესაბამება ის, თითქოს მოედანზე შეიკრიბნენ ნარკომანები, ალკოჰოლიკები. ათასობით ადამიანს შორის, ვინც იქ იდგა, იქნება იყვნენ ექსტრემისტები, სხვა მიმართულების ადამიანები, მაგრამ ძირითადად ეს არის ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც ისწრაფვის მიაღწიოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს.

მინდა რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ სკოლის მდგომარეობაზე, რომელიც ჩვენი მრავალი პრობლემის წარმომშობია ახლაც და მომავალშიც. ჩვენი სკოლა უკიდურესად ავტორიტარული გახდა. როგორც ჩანს, ეს კანონზომიერი მოვლენაა, რადგან მრავალი წლის განმავლობაში თავად ავტორიტარიზმი ბატონობდა მთელს ჩვენს ქვეყანაში. და ეს ავტორიტარიზმი სარკესავით აისახა სკოლაშიც. ბავშვებზე ზემოქმედება ბოლოს ეღებს თავისუფლებას, არ არის აზრი, ცოცხალი აზრი. მასწავლებელი კი, როგორც ყველაზე მთავარი ფიგურა, ავტორიტარად ევლინება ბავშვებს. და უნდა გითხრათ, რომ იქ წარმოიქმნება ასეთი პარადოქსი: ერთი მხრივ მასწავლებელი — ყველაზე დაშინებული ადამიანი ჩვენს ქვეყანაში, რადგან მასზე ზემოქმედებას ახდენდა ყოველთვის მეტად ფართო ქსელი და სისტემა: ინსპექტორა და ბრძანებები, დადგენილებები. ყოველივე ეს ზღუდავდა მასწავლებლის მოძრაობას ცოცხალი აზრისაკენ. მეორე მხრივ — ეს დაშინებული ადამიანი აშინებს თავის მოსწავლეებს კლასში.

უნდა გავთავისუფლდეთ სკოლის ასეთი მდგომარეობისაგან. თუ არ გვექნება სკოლაში დემოკრატიზმი, საჯაროობა, არ გვექნება ჰუმანური მიდგომა ბავშვისადმი, ბავშვის პიროვნებისადმი, დაკარგავთ სულს სკოლაში.

ახლა ბევრს ელაპარაკობთ სკოლის გარდაქმნაზე, ახალი მოწყობილობით სკოლის აღჭურვაზე. ეს აუცილებელია. უნდა გამოიყოს მნიშვნელოვანი სახსრები განათლებისათვის — ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ მეტი. მაგრამ ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ არავითარი აღზრდა არ იქნება სკოლაში, თუ არ გვეყოლება კარგი პედაგოგი, ისეთი, რომელმაც იცის, როგორ მიუდგეს ადამიანს. ზოგჯერ ეს კარგი ადამიანი შეიძლება ხის ქვეშ დაჯდეს თავის მოსწავლეებთან ერთად და იქ აწროთოს მათი სული.

სწორედ ალბათ ავტორიტარიზმია მიზეზი იმ მოვლენებისა, რომლებიც ხდება თბილისში, სხვა ადგილებში, რადგან ასეთ პირობებში აღზრდილი ბავშვი ახლა პოულობს თავისი გრძნობების თავისუფლად გამოხატვის საშუალებას და ეს თავისუფლება ვლინდება სხვადასხვა ასპექტით, სხვადასხვა სფეროში.

არის კიდევ ერთი უზარმაზარი პრობლემა, რომელიც ეროვნულ სკოლას ეხება. ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ჩვენს სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე წარმოიქმნა. ეს მართალია. ეს რევოლუციის მონაპოვარია და ეროვნული ენა სწავლების ენა ხდება თითოეული რესპუბლიკისათვის. მაგრამ ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ, ვთქვათ, ქართულ ენაზე სწავლება სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი სკოლა სწორედ ეროვნული და ქართული სკოლაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სწავლების დანარჩენი შინაარსი სხვა არა არის რა, თუ არა რუსულიდან თარგმანი.

ავიღოთ ისეთი პრობლემა, როგორიც არის სკოლაში ისტორიის სწავლება, რომელ ისტორიას სწავლობენ ჩვენი ბავშვები? საქართველოში, ძირითადად, ვსწავლობთ სსრ კავშირის ისტორიას. ახლა რას ნიშნავს ეს ისტორია? ჩვენმა ქართველმა ბავშვებმა მეტი იციან რუსეთში მომხდარი მოვლენების შესახებ, თუ რა მოხდა ძველი დროიდან დღემდე, ვიდრე საქართველოს ამბების, მოვლენების შესახებ. საქართველოს ისტორია კი ძლივსძლივობით თავსდება სასწავლო გეგმებში, აკრძალულიც კი იყო ამ საგნისთვის მეტი საათის გამოყოფა. ეფიქრობ, რომ ყოველ რესპუბლიკას აქვს უდიდესი კულტურა, უდიდესი წარსული. ეს არის ჩვენი კავშირის კუთვნილებაც. ამიტომ სწორედ ასეთ საწყისებზე უნდა აიგოს არა მარტო ისტორია, არა მარტო ლიტერატურა, არამედ იქნებ, ყველა დანარჩენი საგანიც. ერთი ტიპის სახელმძღვანელო, ერთი ტიპის მასწავლებლის მომზადება — ყველაფერი ერთი ტიპის, და ბოლოს და ბოლოს, ვიღები ადამიანს, რომელიც აგრეთვე, როგორც ფორმა, გამოქედილია ერთი ტიპის აზროვნების სულისკვეთებით. ახლა კი, როცა გვეძლევა თავისუფლება, გვაიცებს, რომ ადამიანი უკვე არც თუ მაინცდამაინც თავშეკავებული ფორმებით ავლენს თავის პოზიციას.

ეროვნული გრძნობები ადამიანის ყველაზე ფაქიზი სიმებია, ყველაზე ფაქიზი, და მათ უაღრესად ფრთხილად უნდა შეეხოთო. ვიცი, რომ ახლა ჩემს გამოსვლას ისმენენ თბილისში, იქ კი სხვადასხვა მოვლენა ხდება. ამიტომ მინდა, რომ თბილისში იცოდნენ, ახლა რაზე გესაუბრებით. გაზეთის სტატია, რომელიც დაიმოწმა გენერალმა როდიონოვმა, დაიწერა სამხედრო კომენდანტის საათის დროს. გთხოვთ არ იფიქროთ, რომ სწორედ ისე ვთარდებოდა მოვლენები, როგორც გაზეთშია წარმოდგენილი. შეიქმნა კომისია. სწორედ ეს კომისია განსაზღვრავს მთელი სისრულით სურათს, ყველაფერს, რაც იქ მოხდა.

ამავე დროს მინდა შემდეგი გითხრათ. ახლანდელ პირობებში, მე ვიტყოდი, გარდაქმნის ვაქაცური პირობებში, ურთიერთობის მრავალი რთული პრობლემა გამოვლინდა. და, ალბათ, დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი კავშირი მომავალში უნდა ემყარებოდეს არა ძალას, არამედ სულიერ ურთიერთობას, მეგობრობას. და თუ ეს მეგობრობა რაღაცნაირად შეილახება, ჩვენ შორის შეიძლება წარმოიქმნას მეტად დიდი სირთულე, და ეს კარგს არაფერს მოგვიტანს.

ამიტომ მოვუწოდებ დეპუტატებს — მაპატიეთ, თუ შეიძლება, რომ ვბედავ ამის თქმას — იმან, ვინც გამოვა ამ ტრიბუნიდან, მეტად ფრთხილად, აწონილ-დაწონილად წარმოთქვას ყოველი სიტყვა, როცა იგი ეროვნებას ეხება. ბევრი დეპუშა მივიღე ამ დღეებში სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან. მათში ბევრი ასეთი სტრიქონია: „ეროვნულად აწონილ-დაწონილად უნდა წარმოითქვას ყოველი სიტყვა, რა [illegible] — [illegible] ეროვნული [illegible] — [illegible] ტურას, რომელიც ახლა ადამიანს (**ტაში**).

და ბოლოს. იქნებ, რასაც ახლა ვიტყვი, მხარი არ დაუჭიროთ, მაგრამ მაინც მინდა, რომ მას მხარი დაუჭიროთ. ჩვენი ქვეყანა მრავალეროვანია. მაგრამ არის ძირითადი ენები ჩვენს ქვეყანაში, ვთქვათ, ის ენები, რომლებითაც ჩვენი რესპუბლიკები ცხოვრობენ, ლაპარაკობენ, მუშაობენ. და, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა, რომ ყრილობა სხვადასხვა ენაზე მუშაობდეს. დაე ამ ტრიბუნიდან ზოგჯერ ისმოდეს აზერბაიჯანული, სომხური, ქართული, ლატვიური და სხვა ენები. ჩვენ უნდა შევაჩვიოთ ყური ეროვნული ენების ყღერადობას. ეს ზიანს როდი მოუტანს ჩვენს ურთიერთობას (**ტაში**).

იმისათვის, რომ დღეს პირველად გაკეთდეს ეს, ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა ვთქვა ქართულად. მე ამ სიტყვებით მივმართავ ჩვენს ახალგაზრდებს ხობილისში. თუ შეიძლება ეს ტელევიზიამ, როგორ ყღერს ეს სტყვები. გარწმუნებთ, არაფერს ისეთს არ ვიტყვი, რაც გათიშავს ან დაანგრევს ჩვენს ერთიანობას, ჩვენს სიყვარულს. მინდა, ძვირფასო ამხანაგებო, ყველამ იცოდეს, რომ საქართველო არასდროს არ საზრდოობდა ნაციონალიზმით და ასეთი რამ არასდროს არ იქნება. (**ტაში**). ამბობენ, რომ თბილისის მოვლენების დროს იყო ანტირუსული გამოსვლები, თითქოს, ეს იყო მოწოდებები — გამოყოფის [illegible] [illegible] [illegible]

საქართველოს მანდატი

ურთიერთობა ევროპის ძვეყნებთან 1918–1921 წლებში

1917 წლის 15 ნოემბერს დაარსდა ამერიკა-კავკასიის კომისარიატი. მას თავმჯდომარეობდა ეკგენი გეგეჭკორი. ეს იყო ფაქტობრივად ამერიკა-კავკასიის პირველი მთავრობა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ამ კომისარიატის ინიციატივით 1918 წლის 10 თებერვალს შეიკრიბა ამერიკა-კავკასიის სეიმი. მასში შეკრებილ რუსეთის ყოფილი დამფუძნებელი კრების დეპუტატები ამერიკა-კავკასიისაგან: მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატისტები და სხვანი. მაგრამ ეს სეიმი მალე დაშალა და შეიქმნა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

იმავე 1918 წლის 26 მაისს, კვირას, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა. მთავრობის თავმჯდომარე გახდა ნოე რამიშვილი, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი — ალაკა ჩხენკელი. მაგრამ ამ დროს ეკონომიკურად სუსტი საქართველოსათვის აუცილებელი იყო ევროპის რომელიმე სახელმწიფოდან ფინანსურ-ეკონომიკური დახმარება.

გერმანიიდან ასეთი დახმარების მიღების იმედი ჯერ. ახლა საქართველოში ინგლისელები იყვნენ მაგრამ ისინი ამ მხრივ არაფერს აპირებდნენ. მაო არც მანდატი მოითხოვეს საქართველოზე. მეტიც, ლოიდ ჯორჯმა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საქართველო იოლად „დაუთმო“ იტალიას.

იმის შესახებ, თუ როგორ წამოიჭრა საქართველოს მანდატის საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე, ზუსტად არ არის მოთხრობილი იმ დროის ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაშრომებში თუ მემუარებში. ამიტომ, ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გავაცნობთ ამ საკითხის ისტორიას.

ამჯერად შევეხებით მხოლოდ იტალიის ცდას მიეღო მანდატი საქართველოსა და აზერბაიჯანზე. [მასალებს, რომლებსაც აქ მკითხველს ვთავაზობთ, მიკაკლეიეთ რომის არქივებში (იტალიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ისტორიული არქივი, იტალიის არმიის გენერალური შტაბის ისტორიული არქივი), იტალიის ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწეს პირად არქივში (პრემიერ-მინისტრ ორლანდოს არქივი), აგრეთვე საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში (პარიზის საზავო კონფერენციის მასალები). ყველა ეს მასალა ათასამდე გვერდს მოიცავს და შედგენილია იტალიურ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.]

[საქართველოსა და აზერბაიჯანის ოკუპაციის იტალიის გეგმები არც უცნობეთში იყო ცნობილი მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ყველა მოლაპარაკება ამ საკითხებზე საიდუმლოდ მიმდინარეობდა. იტალიის გეგმა ჩაიშალა, ხოლო ამ ამბებთან დაკავშირებული დოკუმენტები და მასალები იტალიის, საფრანგეთისა და ინგლისის არქივებში დარჩა.]

1945 წელს რომში გამოქვეყნდა ცნობილი იტალიელი ანტიფაშისტის კარლო სფორცას წიგნი „ჩემ მიერ ნახული იტალია 1914-1945 წლებში“. აქ ავტორი პირველ რიგში მიუთითებს იმ დიდ სასაზარზე, რომელიც ალმოუჩინა თავის ქვეყანას ახალმა პრემიერ-მინისტრმა ფრანჩესკო ნიტიმ, რომელმაც დაიკავა თუ არა ეს პოსტი 1919 წლის ივნისში, მაშინვე გაუქმა უკვე გადამდგარი ორლანდო-სონინოს მთავრობის გადაწყვეტილება საქართველოსა და აზერბაიჯანში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნის შესახებ.

ამის შემდეგ კარლო სფორცა მოგვითხრობს, თუ როგორ იშვა ერთა ლიგაში საქართველოსა და აზერბაიჯანის სამანდატო ქვეყნებად გამოცხადების, ამ ქვეყნებზე მანდატების იტალიისათვის გადაცემისა და იტალიის მიერ ამიერკავკასიის ამ ორი რესპუბლიკის ოკუპაციის იდეა.

კარლო სფორცა წერს: „ერთ-ერთ საღამოს პარიზში გამართული საუბრისას ორლანდომ შესჩივლა ლოიდ ჯორჯს, რომ მოკავშირეებმა იტალიას არ მისცეს არც ერთი კოლონიური მანდატი. ამ ინგლისელმა ფანტაზიორმა ორლანდოს უპასუხა: „თქვენ ათასჯერ მართალი ხართ. ამაში დანაშაული არიან... (ლოიდ ჯორჯმა დაასახელა გვარები, ოღონდ თავისი გვარი „დაავიწყდა“), მაგრამ დასძინა ლოიდ ჯორჯმა, მე შემიძლია დაგეხმაროთ და ყველა ჩვენგანზე უფრო მდიდარი იქნებით. დაიკავეთ საქართველო, იგი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით... იქ თქვენ მეტად გულთბილად მიგიღებენ“.

ორლანდოს მოეწონა ლოიდ ჯორჯის რჩევა და მაშინვე შეუდგა საქმეს. კარლო სფორცა განაგრძობს: „ორლანდომ განაცხადა: საბჭოთა რუსეთის მთავრობა ნუ ჩათვლის ამას მის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური გარემოცვის ახალ დამადასტურებელ საბუთად, თუმცა პოლიტიკური გადმოცა იმ დროს ნამდვილად არსებობდა“.

იტალიის მმართველი წრეები აღფოთოვანებული შეხვდნენ ამიერკავკასიაში იტალიის გბატონრეობის გეგმებს, ამან განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოიწვია სამხედრო წრეებში. „იტალიელი გენერლები, — წერს კარლო სფორცა, — რომლებიც იტალიის არმიის დემობილიზაციის შემდეგ უსაქმოდ დარჩნენ, და მსხვილი მრეწველები, რომლებიც ომის დამთავრების შემდეგ სამხედრო შეკვეთების აღარ ღებულობდნენ, მზად იყვნენ კალიბივით შესეოდნენ ამ აღთქმულ ქვეყანას — საქართველოს. ამრიგად, გადაწყდა საქართველოში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნა“.

ამ დროს კარლო სფორცას იტალიის უმაღლესი კომისრის თანამდებობა ეჭირა კონსტანტინოპოლში და, ცხადია, იტალიის ჯარების მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანის ოკუპაციის საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა. მაგრამ საქმე ის არის, რომ სწორედ კარლო სფორცამ თავიდანვე ჩითვალა იტალიის მმართველი წრეების ეს გეგმა ფანტაზიად და მხარი არ დაუჭირა.

„ცხადია, — წერს იგი, — ჩვენს მთავრობას საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინე ამ გეგმის შესახებ, მას შემდეგ, რაც მან კონსტანტინოპოლში გამოგზავნა საქართველოში მისავლინებელი სამხედრო მისიის მეთაური, პოლკოვნიკი გაბა. მას კონსტანტინოპოლში უნდა მოემზადებინა იტალიის სამხედრო ექსპედიციის პირველი ეტაპი“.

ზემოხსენებული გეგმის განხორციელების თაობაზე კარლო სფორცამაც მიიღო თავისი მთავრობის დავალება. „ერთ-ერთი დავალება, — წერს იგი, — რომელიც მე მივიღე ჩემი საგარეო საქმეთა მინისტრის სონინოსაგან, ის იყო, რომ დამემყარებინა კარგი ურთიერთობა საქართველოსა და აზერბაიჯანის იმ მრავალრიცხოვან პირებთან, რომლებმაც კონსტანტინოპოლში მოიყარეს თავი“.

კარლო სფორცა აღნიშნავს, რომ მას ნამდვილად ჰქონდა კონტაქტები ანტიბოლშევიკურ პირებთან და რომ მას უგზავნიდნენ „წერილებს საქართველოდან და მისი მეზობელი მხარეებიდან საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი პირები და სთხოვდნენ მხარდაჭერას. იმ მხარეებში ნამდვილად იყვნენ ბოლშევიკებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები. ამიტომ შესაძლებელი იყო იტალიის სამხედრო ექსპედიცია და იტალიის ეკონომიკური ჰეგემონიაც კი, თუ იგი გონივრულად იქნებოდა განხორციელებული, თავიდან ადგილზე კარგად მეეღოთ, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა“.

ამის მთავარ მიზეზად კარლო სფორცა ასახელებდა იმას, რომ ქართველი ხალხი არ შეურიგდებოდა უცხოელების ბატონობას თავის ქვეყანაში. გარდა ამისა, „გაივლიდა დრო და რუსული და ანტირუსული ელემენტები გაერთიანდებოდნენ ჩვენს წინააღმდეგ. ევროპაც არ შეურიგდება იტალიის ასეთ ნაბიჯებს: იტალიის მიერ საქართველოს ოკუპაცია ინგლისის მხარდაჭერით, შესაძლებელია ერთ მშვენიერ დღეს გამხდარიყო მიზეზი ან საბაბი რუსეთისა და გერმანიის შეთანხმებისა, რომელიც წარმომართებოდა უწინარესად იტალიის წინააღმდეგ“.

კარლო სფორცა არ ურჩევდა თავის მინისტრს სონინოს რუსეთის კონტრრევოლუციურ ძალებთან კავშირს, ვინაიდან ეს ძალები უკვე განწირული იყვნენ. იგი წერდა: „ათიათასობით ეს საწყალი რუსი თეთრგვარდიელი, რომლებიც ჩვენი დახმარებით გაქცევით გადარჩნენ და ახლა ვინახავთ პრინცების კუნძულზე, ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ საბჭოთა ხელისუფლებას რუსეთში. ეს განწირული ხალხია, რომელმაც დაკარგა სიმამაცე, სულგრძელობა, იდეალები“.

რომში არ მოსწონდათ კარლო სფორცას ასეთი შინაარსის წერილები და პასუხსაც არ უგზავნიდა მინისტრი სონინო. იტალიის პრემიერი ორლანდო კი თავგამოდებით იცავდა საქართველოში ჯარების გაგზავნის გეგმას. აი, რამდენიმე ამონაწერი იმ დეპეშებიდან, რომლებსაც ერთმანეთს უგზავნიდნენ პარიზის საზავო კონფერენციაზე მყოფი პრემიერი ორლანდო და იტალიის მეფე ვიქტორ ემანუილ III.

1919 წლის 16 მარტს ორლანდო მეფეს ატყობინებდა: „გუშინ ლოიდ ჯორჯმა სიტყვიერად ჩამაბარა საქართველოს მანდატი. ლაპარაკია ქვეყანაზე, რომელიც წაროადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მდიდარს ბუნებრივი რესურსებით, ნავთობით, ქვანახშირით, მანგანუმით, რკინით და სხვა, ცხადია, იტალიისათვის იქნებოდა უდიდესი იღბალი, თუ მას შესაძლებლობა მიეცემოდა მიეღო ეს ქვეყანა“.

როგორც ჩანს, იტალიის მეფეს პირველ ხანს არ მოეწონა ეს წამოწყება. ახალგაზრდობის დროს იგი ყოფილა კავკასიაში, მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება არ დარჩენია ამ რეგიონზე. იგი ორლანდოს დეპეშაზე უპასუხებდა: „მახსოვს ჩემი მოგზაურობის დროიდან, რომ საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. ჩემი აზრით, იგი ღარიბი უნდა იყოს“.

22 მარტს ორლანდო სწერდა მეფეს: „სრულიად ზუსტი და შემოწმებული ცნობებით, საქართველო სამდგილად აღთქმული ქვეყანაა. რაც შეეხება მინერალურ რესურსებს, იქ არის ნავთობის უდიდესი მარაგი, იგი იძლევა მთელი მსოფლიოს მანგანუმის ნახევარს, იქ არის რკინა, ტყვია, ოქრო, ვერცხლი. იქ არის დიდალი ქვანახშირი, რომელიც ანთაფრით არ ჩამოუვარდება კარდიფის (ინგლისი) ქვანახშირს. იტალიისათვის საქართველო იქნებოდა ნედლეულის უდიდესი წყარო“.

იმავე დღეს მეფემ დეპეშითვე უპასუხა ორლანდოს: „დიდი მადლობა, გამახარეთ, თუ უფრო ზუსტ ცნობებს გამომიგზავნით საქართველოზე“. იტალიის მეფეს მხოლოდ ერთი რამის ეშინოდა: ხომ არ გაართულებდა ეს იტალია-რუსეთის ურთიერთობას.

მეორე მხრივ, ამერიკა-კავკასიის ოკუპაცია იტალიის მმართველ წრეებს ქვეყნის შინაგანი ვითარებისათვისაც სჭირდებოდათ: ამ მდგომარი რეგიონის დაპყრობით უნდოდათ დაეშოშმინებინათ ის მღელვარება, რომელიც სულ უფრო აზრდებოდა იტალიაში, ვინაიდან პარიზის საზავო კონფერენციამ დამარცხებული ქვეყნებისათვის ჩამორთმეული კოლონიების მანდატები ისე გაანაწილა, რომ იტალიას თითქმის არაფერი ხვდა.

საქართველოსა და აზერბაიჯანში საოკუპაციო ჯარების გაგზავნის შესახებ იტალიის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო 1919 წლის 22 მარტს. ორი დღის შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ იტალიისა და ინგლისის არმიების გენერალური შტაბების უფროსები, გენერლები დიასი და ვინლსონი. მათ განიხილეს ამერიკა-კავკასიაში ინგლისის ჯარების იტალიის ჯარებით შეცვლის საკითხი. ამ საუბრის დროს გენერალმა ვინლსონმა მიუთითა ამიერკავკასიაში გაურკვეველ პოლიტიკურ ვითარებაზე და საუბარი გადაატანა საქართველოს გზით ბაქოს ნავთობის მიღების სიძნელეებზე, რომ ბაქო-ბათუმის რკინიგზა და ნავთსადენი დამაკმაყოფილებლად არ მუშაობდა.

ამ საუბრის დროს გადაწყდა, რომ იტალიისა და ინგლისის გემები ბათუმსა და ფოთში ჩაიყვანდნენ იტალიის ჯარის ნაწილებს, ხოლო იგივე გემები უკან წამოიყვანდნენ კავკასიაში მყოფ ინგლისის საოკუპაციო ჯარებს.

ამასთან დაკავშირებით იტალიის მთავრობამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: 1. სასწრაფოდ გაიგზავნოს თბილისში იტალიის სამხედრო მისია დავალებით — ადგილზეე გაეცნოს არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ვითარებას, რათა იტალიის მთავრობას მიეცეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საშუალება. 2. ებრძანოს იტალიის არმიის უმაღლეს სარდლობას მოამზადოს სამხედრო ნაწილები საქართველოში გასაგზავნად. 3. იტალიის და ინგლისის გენერალურ შტაბებს შორის მოგვარდეს ამიერკავკასიიდან ინგლისის ჯარების გამოყვანისა და იქ იტალიის ჯარების შეყვანის საკითხები.

ამის შემდეგ იტალიის მთავრობამ ხუთ პუნქტად ჩამოაყალიბა თავისი მომავალი მოქმედება ამიერკავკასიაში: 1. სამხედრო ოკუპაციის საშუალებით მთელ ამიერკავკასიაში იტალიის გბატონება, კერძოდ, ორი რესპუბლიკის — საქართველოსა და აზერბაიჯანის ოკუპაცია. 2. სამოქალაქო ცხოვრებისა და წესრიგის აღდგენა. 3. ნავთობის, ქვანახშირის, მანგანუმის, სპილენძისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციის დაუყოვნებლივ დაწყება. 4. სოფლის მეურნეობაში მუშაობის გააქტიურება. 5. მშობლიური მხარიდან სიშორის მიუხედავად, ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო იტალიიდან საქართველოში მიგრაციის ზრდისათვის ხელის შეწყობა.

გადაწყდა საქართველოში იტალიის სამხედრო მისიის გაგზავნა შემდეგი შემადგენლობით: სამხედრო მისიის მეთაური, პოლკოვნიკი მელკიადე გაბა, სახმელეთო ჯარების 15 ოფიცერი, სამხედრო-საზღვაო ნაწილების 4 ოფიცერი, 60 სახმელეთო და საზღვაო ჯარისკაცი, 6 თარჯიმანი, სამრეწველო, სატყეო, სავაჭრო და საფინანსო დარგის სპეციალისტები; ორი სამხედრო ექიმი, რადისტი და ტექნიკური მუშაკები. გათვალისწინებული იყო იტალიის სამეფო კარის ერთ-ერთი წარმომადგენლის გამოგზავნა, რომელიც შემდგომში იტალიის სამეფოს უმაღლესი კომისარი უნდა გამხდარიყო საქართველოში.

ეს სამხედრო მისია იტალიიდან გამოვიდა 1919 წლის 27 აპრილს. 3 მაისს იგი იყო კონსტანტინოპოლში, 9 მაისს — ბათუმში, 10 მაისს — თბილისში. კონსტანტინოპოლში გაბა შეხვდა იტალიის უმაღლეს კომისარს კარლო სფორცას, კონსტანტინოპოლში საქართველოს მენშევიკური მთავრობის მისიის წევრებს. ბათუმში გაბა შეხვდა „ბათუმის სამხედრო გუბერნატორს“, ინგლისელ გენერალს კუკ-კოლს და ინგლისის კონსულს ბათუმში სტევენსს. თბილისში გაბასთან ერთად ჩამოვიდა ინგლისელი გენერალი კორი, რომელსაც უნდა შეეცვალა ინგლისელი გენერალი ტომსონი.

ბათუმიდან თბილისში გაბა მისიის თანხლებით სპეციალური მატარებლით ჩამოვიდა. რკინიგზის სადგურზე მას შესავლელი შეხვედრა მოუწყვეს. აქ იყვნენ ინგლისის სამხედრო ნაწილები ორკესტრით, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, ქალაქის მერი 12 მაისს გაბა შეხვდა ნოე ჟორდანიას და საუბარი ჰქონდა მასთან. იმავე დღეს გაბამ დეპეშა მიიღო პარიზიდან. საზავო კონფერენციაზე მყოფი იტალიის მთავრობის დელეგაციი მისგან სასწრაფოდ მოითხოვდა ზუსტ პასუხებს შემდეგ კითხვებზე: ნამდვილად მიდიან თუ არა ინგლისელები საქართველოდან, როგორია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ინგლისელებისადმი და დენიკინისადმი, როგორია ინგლისელების მდგომარეობა აზერბაიჯანში?

გარდა მთავრობისა, თბილისში გაბა შეხვდა ინგლისის საოკუპაციო ჯარების წარმომადგენლებსაც. ამრიგად, მან თავი მოუყარა საჭირო ცნობებს და ხუთი დღის შემდეგ ვრცელი დეპეშა გაგზავნა პარიზს. კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ გაბა თავის მთავრობას ატყობინებდა, რომ აქ „პოლიტიკური ვითარება მერყეობს, არეულ-დარეულია, ნერვიულია. საზოგადოებრივი უშიშროება არ დგას სათანადო დონეზე. ბანდიტიზმი თბილისსაც მოედო (ამ დროს საქართველოში მოქმედებდა თავად მაგალოვის თათარ-მუსლიმანთა რაზმები, რომლებიც დახმარების დენიკინისგან იღებდნენ და ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდნენ. აქვე მოქმედებდნენ თურქი ბანდიტები. — ი. ტ.) ინგლისელები დაინტერესებული არ არიან ქვეყნის პოლიტიკური კეთილდღეობით. ისინი ამყარებენ შეტისმეტ კეთილგანწყობას დენიკინის და თურქების მიმართ. ბათუმს არ შეუძლია არსებობა საქართველოს გარეშე... ბოლშევიკებმა აიღეს ჩორხი, რინოკი და ყიზლარისკენ მიიწევენ“.

აი, კიდევ რამდენიმე ამონაწერი გაბას მიერ თბილისიდან პარიზსა და რომში გაგზავნილი დეპეშებიდან: ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა მეტად მძიმეა; მუშების უმრავლესობა ან სრულებით არ ღებულობს ხელფასს, ან ღებულობს ცოტას; პირველი მოხმარების საგნების ნაკლებობაა; არ არის პური, ვინაიდან ვოლგისა და კასპიის ზღვის რაიონებიდან უკვე აღარ შემოდის იგი; 5 წლის ომისა და რევოლუციის შედეგად რკინიგზა მოშლილია, არ ჟყოფნით ორთქლმავლები და ვაგონები; თბილისსა და ერევანს შორის მგზავრობას 36 საათი სჭირდება, ბაქოსა და ბათუმს შორის — ხუთი დღე; ყველა მნიშვნელოვანი რკინიგზის სადგური და ფოსტა-ტელეგრაფი ინგლისელების ხელშია; ბათუმსა და მის ოლქში მთლიანად ინგლისელები ბატონობენ. სურსათი არ არის. ეკონომიკური და სავაჭრო ცხოვრება მთლიანად მოშლილია; ბათუმსა და ფოთში შემოვიდნენ ინგლისის სამხედრო გემებიც: „რომი“, „პიზა“, „დუილიო“, „სარდინია“, „პოერვო“, „ეტნა“ და სხვები; ინგლისის გარნიზონები დგანან თბილისში, ახალციხეში, ბათუმში, გორში, ბაქოში შუშაში, ერევანში, ნახიჩევანში და სხვაგან.

პოლკოვნიკ გაბას ცნობით საქართველოს რესპუბლიკის არმია შედგება 20 ათასი კაცისაგან, მისი გაზრდა შეიძლებოდა 120 ათასამდე, მაგრამ არ გააჩნიათ მომარაგება და, რაც მთავარია, არ არის სანდო: „50 პროცენტი ბოლშევიკურადაა განწყობილი“.

გაბას აზრით, მას უფრო გაუადვილდებოდა მუშაობა, ხელი რომ ჰქონოდა საქართველოს მანდატი.

აქვე შევნიშნავთ, რომ იგი არაფერს ამბობდა, ჯერ ერთი, იმაზე, რომ ერთა ლიგას არავითარი უფლება არ ჰქონდა მანდატი გაეცა საქართველოზე, ამ დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, რადგან მანდატებს აძლევდნენ ომში დამარცხებული სახელმწიფოებისათვის ჩამორთმეულ კოლონიებზე; მეორეც, ქართველ ხალხს არავინ ეკითხებოდა, სურდა თუ არა მას აქ რომელიმე ოკუპანტის შემოსვლა.

შემდეგ გაბა განაგრძობს: თუ ინგლისელები მალე წავლენ, მაშინ შეუძლია იტალიას მიაღწიოს გაბატონებულ მდგომარეობა ს; ბევრი რამაა დამოკიდებული ბაქოს მდიდარი ნავთობის ექსპლოატაციაზე, რომლის წლიური პროდუქცია პირველ მსოფლიო ომამდე მილიარდ ლირას შეადგენდა; იტალია უნდა გახდეს ბაქოს ნავთობის პროდუქციის მსოფლიო გამყიდველი; იტალიელები უნდა იყოს ბაქო-ბათუმის რკინიგზის კონტროლი. საჭიროა ნაოსნობის მოგვარება საქართველოსა და იტალიას შორის. ამაში უნდა ჩაებას იტალიის ყველა დაინტერესებული პირი.

ეხებოდა რა იტალიის სამხედრო ძალების საქართველოში ჩამოსვლას, პოლკოვნიკ გაბას აზრით, კავკასიაში იტალიას ინგლისის საოკუპაციო ჯარებზე (მას 20 ბატალიონი ჰყავდა) უფრო მეტი უნდა ჰყოლოდა. სახელდობრ: ორი დივიზია, ალპური რაზმები, ორი ესკადრონი, ნაწილები მძიმე და საველე არტილერიით, არტილერიის დივიზიონი ნახევრად საველე და ნახევრად სამთო არტილერიით. ჯარის ნაწილები უნდა ყოფილიყო შერჩეული, ძალიან ორგანიზებული და მომზადებული ეფექტიანი მოქმედებისათვის; ასევე მრავალრიცხოვანი კავალბინერები (ცალდარმერია), პროპაგანდისა და ინფორმაციის ფართო ქსელი. იტალიის ჯარები უნდა გადმოსხდარიყვნენ ბათუმსა და ფოთში, სადაც იტალიას ექნებოდა სამხედრო ბაზები, იტალიას ყველმხრივ მხარი უნდა დაეჭირა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, მაგრამ სამაგიეროდ უნდა მიეღო შეღავათები ქვანახშირის, მანგანუმის, ნავთობისა და სხვა კონცესიების შექმნის საქმეში.

ასე დაიწყო იტალიის სამხედრო მისიის მუშაობა საქართველოში, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, 1919 წლის ივნისში იტალიაში შეიცვალა მთავრობა, და ახალმა პრემიერმა ფრანჩესკო ნიტიმ იმით დაიწყო თავისი მოღვაწეობა, რომ გააუქმა წინა მთავრობის გადაწყვეტილება საქართველოში ჯარების გაგზავნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ფრ. ნიტი წერდა: საქართველოში ჯარების გაგზავნა სახიფათო იყო სამხედრო თვალსაზრისით, იგი აუცილებლად მიგვიყვანდა მოსკოვთან ომამდე. ცოტა ხნის შემდეგ ბოლშევიკების ჯარი შევიდა თბილისში და ამრიგად, იტალიის ჯარს უნდა ეომა რუსეთის წინააღმდეგ. ასე ჩაშალა იტალიელებმა იტალიიდან რაიმე დახმარების მიღების იმედი.

ჩაიფუშა მეორე იმედიც: ამერიკას უნდა მიეღო მანდატი სომხეთზე. ამას მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვისაც. თუ ამერიკა მიიღებდა მანდატს სომხეთზე, მაშინ ამერიკას კონტაქტები უნდა ჰქონოდა სომხეთთან შავი ზღვიდან საქართველოზე გავლით. საქართველო მიიღებდა ამერიკის ეკონომიკურ და დიპლომატიურ მხარდაჭერას, მაგრამ მალე ეს იმედებიც ჩაგრა.

ამრიგად, 1918 წლის მიწურულისთვის საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს ჩეხოსლოვაკიამ, უნგრეთმა, შვეიცარიამ, დანიამ, შვეიცარიამ, ნორვეგიამ, უფრო გვიან — არგენტინამ, ხოლო 1920 წლის იანვარში საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტოდ — ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, თებერვალში — იაპონიამ.

1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკასთან ხელი მოაწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას, სადაც ნათქვამი იყო, რომ რუსეთი ცნობდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და საბჭოთა რუსეთი ნებაყოფლობით უარს ამბობდა ყველა იმ უფლებაზე, რომლითაც სარგებლობდა მეფის რუსეთი საქართველოს მიმართ. რუსეთის სფსრ წარმომადგენლად საქართველოში ჩამოვიდა ს. მ. კიროვი.

1920 წლის 12 ივნისს ანტანტის დიდი სახელმწიფოების უმაღლესმა საბჭომ დაადგინა ეცნო საქართველოს მთავრობა დე ფაქტოდ. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას საქმე არ მოჰყოლია. ისინი ელოდებოდნენ საბჭოთა რუსეთის გადაწყვეტილებას რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის შესახებ.

საქართველოს მთავრობამ ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებთან ელჩად დანიშნა აკაკი ჩხენკელი, რომელიც 1921 წლის თებერვლის შუა რიცხვებში პარიზში ჩავიდა. 25 თებერვალს იგი ელისეს სასახლის ეტლით, ცხენოსანთა საპატიო რაზმის თანხლებით, რწმუნების სიგელის ჩასაბარებლად საფრანგეთის პრეზიდენტ მილერანთან გამგზავრა. იმავე დღეს — 25 თებერვალს მეთერთმეტე არმია შემოვიდა თბილისში, — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

პროფესორი ზურაბ ავალიშვილი წერდა: „საქართველოს დემოკრატიული მთავრობა გაიქცა ევროპაში მას შემდეგ, რაც ერთვნული კატასტროფით დამთავრა მოღვაწეობა იმ ქვეყანაში, რომელმაც მას ყველაფერი ანდო, რომელიც მას ერწმუნა სავსებით“.

ილია ტაბალუა.

ეროვნული ფედერალიზმი
საქართველოს ეროვნული ფედერალისტური ალიანსი
5 ეროვნული ფერადი

● გზრ

ცალმხრივი გადაწყვეტილება

ბონი. ბრიუსელში ნატოს საიუბილეო სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ცალმხრივი ხასიათი აქვთ და შეიძლება გაზარდონ ბირთვული საფრთხე. ოთხმოცდაათიან წლებში. ეს განაცხადა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის განაარაღების საკითხთა ექსპერტმა ჰერმან შეერმა.

სესიის საბოლოო დოკუმენტში, აღნიშნა მან, პირველ ადგილზე დგება ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების ამოცანები, მაშინ როცა ბირთვული იარაღის დარგში გთვალისწინებულია მხოლოდ ტაქტიკურ რაკეტებზე მოლაპარაკების წარმოება. მათ ფარგლებს გარეთ, ამრიგად, დარჩება რამდენიმე სახეობის ბირთვული იარაღი, რომლებიც ევროპაშია განლაგებული, — ბირთვული არტილერია, საზღვაო და საჰაერო ბაზირების ბირთვული სისტემები.

ასეთი მიდგომა, აღნიშნა ჰ. შეერმა, შეშფოთებას იწვევს, რომ „ბირთვული ფაქტორი“ მზარდ ზეგავლენას მოახდენს დასავლეთ ევროპის უშიშროების პოლიტიკაზე. ექსპერტმა განაცხადა, რომ ერთდროულად უნდა შემცირდეს ჩვეულებრივი და ბირთვული შეიარაღება.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ჰარარე. ცნობილი სამხრეთაფრიკელი მწერალი რიჩარდ რა

ალექსანდრე პუშკინი

ნუ მიმღერ, ტურფავ, გულს მიღონებენ
პანგები — მწუხარ საქართველოსი...
სხვაგვარ ცხოვრებას მომაგონებენ
და ნაპირს, სულ სხვა ფერით შემოსილს.

ო!, როცა მე შენს გალობას ვუსმენ,
როს მესმის ბორგვა შენი ქნარისა,
ვხედავ: ველს, ღამეს და მთვარის შუქზე
სახეს შორეულ, ბედშავ ქალისას.

იმ ნაზ ჩვენებას, საბედისწეროს,
ოდეს თვალს მოგკრავ, ვივიწყებ „მყისვე;
მაგრამ, ძვირფასო, შენ რომ იმღერო,
მომაგონდება მე იგი ისევ.

ნუ მიმღერ, ტურფავ, გულს მიღონებენ
პანგები მწუხარ საქართველოსი...
სხვაგვარ ცხოვრებას მომაგონებენ
და ნაპირს, სულ სხვა ფერით შემოსილს.

თარგმნა ელგუჯა ოდიშელმა.

მთიანი ყარაბაღის მოვლენები

სტეფანაკერტი. 4 ივნისი. (სპ-ქდეის კორ). დაძაბულობა არ ნელდება ძთიან ყარაბაღში. სტეფანაკერტსა და ნაწილობრივ ავტონომიური ოლქის რაიონულ ცენტრებში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებზე ზემოქმედების მიზნით, უკვე თვე, რაც ჯაფიცვა გრძელდება. 30 მაისიდან მოყოლებული, საოლქო ცენტრში ეწყობა უსანქციო ქუჩის მსვლელობები და მიტინგები. ორატორები აქ ბრალად სდებენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას, რომ იგი მიკერძოებით უდგიან ყარაბაღის საკითხს, აცადებენენ, რომ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების დროს შელახეს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქისაგან სრმეხ დეპუტატთა კონსტიტუციური უფლებები და მოიწოდებენ ხალხს გაფიცვის გზით ბოლომდე იბრძოლონ სომხეთთან მთიანი ყარაბაღის შეერთებისათვის.

შრომითი რიტმი სტეფანაკერტში მოშლილია. არ მუშაობენ სამრეწველო საწარმოები და სამშენებლო ორგანიზაციები, სამრეწველო საქონლის მაღაზიები და საყოფაცხოვრებო სამსახური, კოოპერატივები და საზოგადოებრივი კვების სისტემა, ბავშვთა საოლქოდელი და სხვა დაწესებულებები.

მძიმე მდგომარეობაშია ოლქის სოფლის მეურნეობა. გვალვის შედეგად დაიღუპა საშემოდგომო კულტურების დიდი ნაწილი, ძლიერ დაზარალდა მაღალი მთის სამომთბარო საძოვრები. სომხეთის და აზერბაიჯანის მეურნეობათა მწყემსებს შორის შეხლა-შემოხლა ხდება პირუტყვის ძოვების ადგილებისათვის.

გაჭიანურებული გაფიცვა კარგ ნიადაგს უქმნის ხმების გავრცელებას, მათ შორის ისეთსაც, როგორიც არის ის, რომ თითქოს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი შიმშილმა მოიცვა.

არქენპრეესისა და საკდესის ცნობების მიუხედავად, რომ სტეფანაკერტსა და ოლქს სურსათის საკმარისი მარაგი აქვთ, სომხეთიდან მთიან ყარაბაღში იგზავნება სურსათ-სანოვაგით დატვირთული მანქანები. აზერბაიჯანის რაიონების ტერიტორიაზე ამ კოლონების გავლა დამატებით დაძაბულობას იწვევს. ის, რომ ამ პროდუქტების ნაწილი უცხოური წარმოებისაა, მოსახლეობაში ბადებს აზრს, რომ გაფიცულებს დახმარებას უწევენ არა მხოლოდ სომხეთის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ნებაყოფლობით მოგროვილი სურსათით, არამედ მიწოსძერის ზონისათვის შეწირულობათა ხარჯზეც.

არაჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, პროვოკაციული ხმები და ჭორები, გაუაზრებელი განცხადებები და გამონათქვამები ორივე მხარის მიერ, მათ შორის პრესაში, აძლიერებენ ავტონომიური ოლქის მოსახლეობის აზერბაიჯანული და სომხური ნაწილების შუღლსა და უნდობლობას.

მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის განსაკუთრებული მმართველობის კომიტეტი, სამხედრო კომენდატურა და განსაკუთრებული რაიონის სამართალდაცვითი ორგანოები პარტიულ აქტივთან ერთად ახორციელებენ რეგიონში ემოციების შეკავების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებს.

ფერღანის ოლქის რამდენიმე დასახლებულ პუნქტში უნესრიგობათა შესახებ

3-4 ივნისს უზბეკეთის სსრ ფერღანის ოლქის რამდენიმე დასახლებულ პუნქტში, რომლებშიც უზბეკებთან ერთად ცხოვრობენ ესტები თურქები, ექსტრემისტულმა ელემენტებმა პროვოკაციულად გაძოიწვიეს უწესრიგობანი ეროვნებათშორის საფუძველზე. ამას თან ახლავს მოქალაქეთა ძრავალრიცხოვანი რბევა, სახლებისა და ავტომობილებისათვის ცეცხლის წაკიდება. დარბეულია საზოგადოებრივი დანიშნულების მთელი რიგი შენობები. ხულიგანთა შეიარაღებული ჯგუფები თავს ესხმიან მართლწესრიგის დაცვის მუშაკებს და წინააღმდეგობას უწევენ მათ. არის მსხვერპლი.

სპორტის ამბები

ფეხბურთის ტალღაზე

ამ ზოგლე მიმოხილვაში გასულ შაბათ-კვირას გამართულ საფეხბურთო ძაღრებზე გესაუბრებით. უწინარესად, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შესახებ. დღეს ლონდონში ერთმანეთს შეხვდნენ ირლანდიისა და უელბრეთის გუნდები (მე-6 ევროპული ჯგუფი). ეს იყო უაღრესად პრინციპული მატჩი, რომელიც მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:0. 34-ე წუთზე ანგარიში გახსნა პოლ მაკგრატმა, მე-80 წუთზე კი უნგრელთა კარში მეორე გოლი გაიტანა ტონი მასკორნიომ (საინტერესოა, რომ ირლანდიელებმა საკუთარ მოედანზე ზედიზედ ექვსი საერთაშორისო შეხვედრა მოიგეს). მე-6 ჯგუფში კვლავ იტალიელები ლიდერობენ: 6 თამაში — 10 ქულა. ამდენივე მატჩში 8 ქულა ბოგგრავეს ირლანდიელებმა.

უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატში პოზიცია კიდევ უფრო განმტკიცეს მოსკოვის სპარტაკელებმა. მათ საკუთარ მოედანზე დიდი ანგარიშით დაამარცხეს დუშანბეს „პამირი" — 6:2 (4:0). „სპარტაკს" ახლა 21 ქულა აქვს. მე-12 ტურის სხვა მატჩები, რომლებიც 5 ივნისს უნდა გამართულიყო, დღეს შედგება. თბილისის დინამოელები ოდესაში „ჩერნომორეცს" ეთამაშებიან.

აქვე გაგაცნობთ პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მე-13 ტურის შედეგებს: ბათუმის „დინამო" — „სპარტაკი" — 1:3, „ყუბანი" — „ნეფტჩი" — 1:0, „ფიზთაქორი" — „მეტალურგი" — 0:0, „კაირატი" — „როსტოვის ასკ — 2:0, „გეოლოგი"— „ტორპედო" — 1:3, „შინიკი" — „კოტაიკი" — 2:0, „ფაკელი" — „დუგავა" — 3:0, „როსტსელმაში" — „კარპატი" — 3:1.

ფაქტი • მოვლენა • კომენტარი

რეპორტაჟი მოსკოვიდან

როცა დარბაზი ცარიელია

ეკირას სახალხო დეპუტატებს ჰქონდათ პირადი თუ ოფიციალური შეხვედრები, თავყრილობები, საუბრები ამომრჩევლებთან. ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, რომ დასვენების დღესაც კი დაძაბულია დეპუტატთა მუშაობა. ეს, ალბათ, სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისებაა. ყრილობა თავისი საჯაროობით, სიმწვავით, მრავალფეროვნებით, აზრთა სხვადასხვაობით, პრობლემატურობით უპრეცედენტოა და გულგრილს არავის ტოვებს. თვით დეპუტატებს კი, ყოველ შემთხვევაში, დეპუტატთა დიდ ნაწილს, უბიძგებს უდიდესი პასუხისმგებლობით, აქტიურობით, მობილიზებით მოეკიდონ თავიანთ საქმეს.

კვირას მეცნიერთა სახლში, მოსკოველ დეპუტატთა თაოსნობით, შეიკრიბნენ სახალხო დეპუტატები. ისინი გრძნობენ, რომ უმცირესობას შეადგენენ და ამიტომ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ მოლაპარაკება, აზრთა გაზიარება, გაერთიანებული და მკვეთრად გამიზნული მოქმედება, რათა გავლენა იქონიონ ყრილობის საერთო განწყობილებაზე. ასეთი შეხვედრები სისტემატურია და, უთუოდ, კვლავაც გაგრძელდება. კვირის თავყრილობაზე საქართველოდან მიწვეული იყო დეპუტატი ელდარ შენგელაია. განხრახული ჰქონდათ ელაპარაკათ დეპუტატთა სტატუსის, ეკონომიკური კონცეფციის შემუშავების შესახებ და ზოგიერთ კონკრეტულ საკითხზე.

შეხვედრა, მართლაც, მოლაპარაკებისამებრ დაიწყო. გამოვიდა დეპუტატ ანდრეი სახაროვის მეუღლე ელენა ბონერი, რომელიც შეეცადა დაეზუსტებინა და განემარტა ყრილობის მიერ ავღანეთში მებრძოლი ჯარისკაცების ცილისწამებად აღქმული ა. სახაროვის ინტერვიუ. წაიკითხეს კოლექტიური თუ პირადი საპროტესტო წერილები დეპუტატ სახაროვის გამოსვლაზე სხდომათა დარბაზში მყოფთა დიდი ნაწილის რეაქციის გამო, რომ ფაქტობრივად მას საშუალება არ მისცეს გამოეთქვა საკუთარი აზრი. დეპუტატმა ზუბანოვმა დააყენა საკითხი, რომ შეკრებილთ მიეღოთ მიმართვა ყრილობისადმი დეპუტატ სახაროვის დასაცავად. ამ აუდიტორიის მიერ ასეთივე შეფასება მიეცა გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვის გამოსვლის შემდეგ მოწყობილ ოვაციებს. დაისვა აგრეთვე საკითხი, რომ ყრილობას არ უმსჯელია ავღანეთის ომის ანტიკონსტიტუციურობის გამო, რომ არ უნდა განმეორდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე სამხედრო ძალების ამოქმედება მშვიდობის დროს.

ბუნებრივია, აღიძრა 9 აპრილის საკითხი, მაგრამ ამ თემამ სასურველი „განვითარება ამჯერად ვერ ჰპოვა, რადგან მოსკოვის საქალაქო საბჭოს წარმომადგენელმა დამსწრეთ თავზარი დასცა ორი სამგზარო მატარებლის კატასტროფის ამბის შეტყობინებით, და სთხოვა დეპუტატებს, რომლებიც ლუჟნიკებში სანქცირებულ მიტინგზე წასვლას გადაწყვეტდნენ, ხალხისათვის თავშეკავებისაკენ მოეწოდებინათ. დამსწრეთა დიდმა ნაწილმა დაუყოვნებლივ გადაწყვიტა მიტინგზე წასვლა.

ლუჟნიკებში და პუშკინის მოედანზე მიტინგები სისტემატურად იმართება. პუშკინის მოედანზე მიტინგებს დემოკრატიული კავშირი მეთაურობს, ლუჟნიკებში კი — საკავშირო ნებაყოფლობითი ისტორიულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „მემორიალი". მისი საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა გვაჩვენეს მიტინგებზე მიღებული რეზოლუცია. მაგალითად, 30 მაისს მიტინგს მოუთხოვია, სახალხო დეპუტატთა ყრილობას ეცნო 1921 წელს საქართველოს ანექსიის ფაქტი, ჩამოერთმიათ გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვისათვის სახალხო დეპუტატის სტატუსი და დაესახელებინათ, ვინ გასცა ბრძანება ჯარების მოქმედების შესახებ. აგრეთვე აყენებდნენ საკითხს, ცენტრალური ტელევიზიით ეჩვენებინათ ქართველი დეპუტატების მიერ წარმოდგენილი 9 აპრილის ტრაგედიის ამსახველი ვიდეოფილმი.

9 აპრილის ამბებით ბევრი არაქართველია დაინტერესებული. როსტროველი ევგენი ელი, წარსულში როსტოვის ტელევიზიის ფოტოკორესპონდენტი, კომენდანტის საათის მოხსნისთანავე ეწვია თბილისს. პირადი ინიციატივით საზოგადოებრივი გამოკვლევა ჩაატარა და თავისი შთაბეჭდილებები თვითგამოცემის სახით გამოაქვეყნა ასეთი სათაურით: „გენერალური რეპეტიცია".

კვირას მიტინგზე შეკრებილთ შეხვდა დეპუტატი ბორის ელცინი. მან აღნიშნა, რომ მიტინგები კარგი საშუალებაა სახალხო დეპუტატების ხალხთან კონტაქტისა. ამის შემდეგ მან შეკრებილთ აუწყა კატასტროფის შესახებ. მიტინგის მონაწილეებმა პატივი სცეს დაღუპულთა ხსოვნას.

საქართველოს დელეგაცია უამრავ წერილს, დეპეშას, მიმართვას, შეტყობინებას, წინადადებას იღებს როგორც საქართველოდან, ასევე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან.

გაგაცნობთ პატარა ამონაწერს ერთი ბარათიდან, რომელიც პირადი არქივისთვის გადადო დეპუტატმა თენგიზ ბუაჩიძემ.

**„ძვირფასო ქართველო ძმებო! ჩვენ გვინდა იცოდეთ, რომ მოსკოველთა უდიდესი ნაწილი თქვენთანაა, ამის დასტურია ლუჟნიკებში გამართულ 200-ათას კაციანი მიტინგების ერთსულოვანი გადაწყვეტილებები, მოსთხოვონ ყრილობას, უპასუხოს, ვინ გასცა ბრძანება, ასე გასწორებოდნენ ხალხს. გასაკვირია, რა საჭირო იყო ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კიდევ ახალი კომისიის შექმნა. როგორც „ზარია ვოსტოკა" გვაუწყებდა, არსებობს რესპუბლიკური კომისიის დასკვნა, ამ დასკვნას ხომ ხალხის საყვარელი ისეთი ცნობილი დეპუტატები ეთანხმებიან, როგორიც არიან სახაროვი, ლიხაჩოვი, საგდეევი...

გვესმის, რომ გარდაქმნა საფრთხეშია, ნებას არავის მივცემთ, გაანადგურონ ის.

სტეპანოვების ოჯახი.
მთელი ოჯახის თანხმობით
დედა ა. ვ. სტეპანოვა.
2 ივნისი, 1989 წ."

მანანა ქარტოზია.

კონტაქტები

ამ ცოტა ხნის წინათ ისრაელში სტუმრად იყო დელეგაცია პოეტ რეზო ამაშუკელის ხელმძღვანელობით, დღეს იგი შთაბეჭდილებებს უზიარებს „კომუნისტს" კორესპონდენტს.

შეკვეთილი სიყვარული არ ნელდება

— ჩვენ მიგვიწვიეს ქართველ ებრაელთა გაზეთის „ალია საქართველოდან" („ამოსული საქართველოდან") თხუთმეტი წლისთავის ზეიმზე, რომელიც 29 მარტს გაიმართა. ამ გაზეთის დამაარსებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორია აბრამ სეფიაშვილი — გულმხურვალე კაცი, რომელიც იქ ბევრ კარგ ქართულ საქმეს აკეთებს. მარტო ის რად ღირს, რომ ამ გაზეთის არსებობით აბრამ სეფიაშვილი მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ქართველი ებრაელების კონსოლიდაციას უწყობს ხელს. საერთოდ, ამ კაცმა დიდი საქმე გაუკეთა თავისიანებს — ქართველ ებრაელებს. საქმე ის არის, რომ ჩვენგან იქ ჩასული ებრაელებს ძალზე გაუჭირდათ თავიდან. ადგილობრივი მოსახლეობა, ხელისუფლება მათ დაბალ ფენად თვლიდა. ამიტომ, უმეტესობა იძულებული შეიქნა მტვირთავად ემუშავა. ამას დაემატა ენობრივი ბარიერიც... ასეთი გაჭირვების ქამს, აბრამ სეფიაშვილმა ქალაქ ამდოთში მოაწყო ქართველ ებრაელთა გაფიცვა, ამით ისრაელის მთავრობის ყურადღება მიიქცია და ხელისუფლებაც იძულებული შეიქნა სასიკეთო გადაწყვეტილები მიეღო...

დელეგაციაში შედიოდნენ დრამატურგი გიორგი ხუხაშვილი, კინოკრიტიკოსი ოთარ სეფიაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ქართლოს კასრაძე, იოგი ძმები — რომან და თენგიზ კრიბელები, კომპოზიტორი სოსო ბარდანაშვილი, რეჟისორი კახა კახაბრიშვილი, ჩვენი ცნობილი საესტრადო მომღერალი თამარ გვერდწითელი და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის წევრები.

მე არ შემძლია სიტყვებით გადმოვცე ის პატივისცემა, სითბო და სიყვარული, რომელიც ჩვენს მმართ გამოიჩინეს ქართველმა ებრაელებმა. მასპინძლები — ჩოხა-ახალუხში გამოწყობილნი — ქართული სმენერებითა და ცეკვებით დაგვხვდნენ თელ-ავივის აეროპორტში, ხოლო „ალიას" საიუბილეო საღამო თელ-ავივის 2500-კაციან კინო-საკონცერტო დარბაზში, ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის ნამდვილი დემონსტრაცია იყო. მე მივულოცავ მასპინძლებს, გაზეთის კოლექტივს „ალიას" 15 წლისთავი — შეიძლება, მოკრძალებული თარიღი, მაგრამ სავსე შემოქმედებითი მიღწევებით, მნიშვნელოვან საქმეთა კეთებით. გაზეთმა ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი და პროზაიკოსი გამოაჩინა, რომელთა ნაწარმოებების დიდი ნაწილი საქართველოს ეძღვნება, ნოსტალგიით არის აღსავსე. ჩვენ, ალბათ, უნდა ვიფიქროთ ამ ნაწარმოებთა კრებულის გამოცემა თბილისში. საერთოდ, ჩემი აზრით, დადგა დრო, რომ ისინიც მოვიწვიოთ საქართველოში, თორემ რა გამოდის: ჩვენ ჩავდივართ, ჩინებულად გემასპინძლობენ და ნოსტალგიასაც ვუტოვებთ იმ ქვეყნისას, რომლის მიწაზე ოცდაექვსი საუკუნის წინათ დასახლდა მათი წინაპარი. ის კი არა, თუ ღმერთმა ქნა და საბჭოთა კავშირისა და ისრაელის ურთიერობა კიდევ უფრო უკეთესობისკენ წავიდა, ბევრი კულტურული ღონისძიების დაგეგმვა შეიძლება. მასპინძლების გადაეცი სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების, საქართველოს კულტურის ministerlebs, საქართველოს საპატრიარქოს, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მისალოცი ადრესები.

რა თქმა უნდა, ყველა განათლებული და კულტურული ადამიანი, თუ ღმერთმა ქნა, ამ ბოლო ორ-სამ თვეში ეცოდინება ისრაელის ურთიერთობა ებრაელებთან. ეს ერთ-ერთი ფენომენია, ალბათ, ეროვნული ფენომენი, ალბათ, ეროვნული ფენომენი, ალბათ, ეროვნული ფენომენი